სტრატეგიული მიზანი N1 - უნივერსიტეტის ცნობადობის და საზოგადოების განვითარებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა

სტრატეგიული მიზანი N2 - სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა და განვითარება

სტრატეგიული მიზანი N3- უნივერსიტეტში ეფექტიანი მართვის სისტემის დანერგვა და განვითარება

სტრატეგიული მიზანი N 4- ინტერნაციონალიზაციის განვითარება

სტრატეგიული მიზანი N 5საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

სტრატეგიული მიზანი N 6 - ინფრასტრუქტურის განვითარება

სტრატეგიული მიზანი N1

უნივერსიტეტის ცნობადობის და საზოგადოების განვითარებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა

სტრატეგიული ამოცანები:

- ✓ ადგილობრივ და საერთაშორისო სივრცეში უნივერსიტეტის პოპულარიზაციის სტრატეგიის ფორმირება და ეფექტური კომუნიკაციის პროცესის დაგეგმვა;
- ✓ უნივერსიტეტის გააქტიურება ადგილობრივ და საერთაშორისო მედიაში;
- ✓ უნივერსიტეტის პარტნიორობის განვითარება ეროვნულ დონეზე;
- ✓ უნივერსიტეტის პარტნიორობის განვითარება რეგიონში და საერთაშორისო მასშტაბით
- ✓ საზოგადოებაში ცოდნის პოპულარიზაცია და უწყვეტი განათლების პრინციპების განვითარება
- ✓ სოციალური და კულტურული აქტიურობა

მიღწევის საშუალებები:

- ✓ **ბრენდირების სტრატეგიისა და მარკეტინგული გეგმის ფორმირება და რეალიზება** - რომელიც მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ციფრული მარკეტინგი; სოციალური მედია; მარკეტინგული ღონისძიებების ორგანიზება; ვებ გვერდის შექმნა, მართვა და განვითარება; Facebook & Google რეკლამა; SEO ; Email მარკეტინგი; ქართულ და უცხოურ საიტებზე სარეკლამო ინფორმაციის განთავსება. ასევე შესაძლოა მოიცავდეს მობილური აპლიკაციების დამზადებას; კონტენტ მარკეტინგსა და რემარკეტინგს;
- ✓ უნივერსიტეტის მიერ სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და საზოგადოების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება ადგილობრივი და რეგიონული მასშტაბით.

- ✓ სტუდენტის ინტერესებსზე ორინეტირებული მრავალფეროვანი საუნივერისტეტო სერვისების შეთავაზება პოტენციური სტუდენტებისათვის;
- ✓ მიზნობრივ ჯგუფების იდნეტიფიკაცია და მათთან შესაბამისი მარკეტინგისა და კომუნიკაციის სისტემების გაძლიერება;
- ✓ სამუშაოს ექფეტურად მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარების განმავითარებელი სერვისების დანერგვა და მისი პოპულარიზაცია უნივერსიტეტის სტუდენტების განვითარებისა და პოტენციური სტუდენტების მოზიდვის მიზნით;
- ✓ სტუდენტთა/კურსდამთვარებულთა კარიერეული განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვა და რეალიზება.
- ✓ თანამშრომლობის გაღრმავება პოტენციურ დამსაქმებლებთან, კვლევით, საზოგადოებრივ, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან;
- ✓ თანამშრომლობის გაღრმავება მსგავსი პროგრამების განმახორციელებელ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
- ✓ თანამშრომლობის გაღრმავება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მოსწავლეებისთვის პროფორიენტაციისა და მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით
- ✓ პოპულარულ თემებზე საჯარო ლექციების გამართვა ფართო და მიზნობრივი აუდიტორიისათვის
- ✓ სოციალურ/საქველმოქმედო და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა და ორგანიზება
- ✓ ინფორმაციის მოიძიება საერთაშორისო პარტნიორ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, კვლევითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ, მათთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა და ერთობლივი პროექტების შემუშავება;

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ „აღმოსავლეთ დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის“- **„EASTWESTUNI”-ის** სახელწოდებასთან ასოცირდება: ხარისხიანი ქართული და უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები
- ✓ უნივერსიტეტში ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო სერვისები
- ✓ უნივერსიტეტში ეფექტიანად ხდება დასაქმებისა და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა
- ✓ უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული საზოგადოების განვითარებაში და ახორციელებს „უწყვეტი განათლების პრინციპების“ ხელშეწყობას

სტრატეგიული მიზანი N2

სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის დანერგვა და განვითარება

სტრატეგიული ამოცანები:

- ✓ სასწავლო პროცესის მართვაში და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში სტუდენტთა წარმომადგენლობის ხარისხისა და მასშტაბის უზრუნველყოფა;
- ✓ სტუდენტური თვითმმართველობის სისტემის დამოუკიდებლობის და მათი უნივერსიტეტის მართავაში ჩართულობის უზრუნველყოფა.
- ✓ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის სერვისების განვითარება

მიღწევის საშუალებები:

- ✓ **სტუდენტზე ორიენტირებული სერვისების ავტომატიზირებულობა და გამართულობა** - სტუდენტზე ორიენტირებული სერვისი გულისხმობს მაქსიმალურად მოკლე ვადებსა და ზედმეტი ბიუროკრატიული გართულებების გარეშე სტუდენტისთვის მომსახურების გაწევას როგორც საუნივერსიტეტო, ისე სკოლების და პროგრამულ დონეზე და მის ხელშეწყობას შესაბამისი მექანიზმებით (სტუდენტთა მომსახურების სტრუქტურული ერთეული, ელ-ბაზები, სპეციალური პროგრამები საგამოცდო ცენტრები და ა.შ.)
- ✓ **მოქნილობა - კრედიტების დაგროვების შესაძლებლობაში არჩევანის თავისუფლება** - სტუდენტს სასწავლო პროგრამის არჩევისას პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს შორის თავისუფალი არჩევანის საშუალება აქვს. აქვე, იგულისხმება თავისუფალი კრედიტების დაგროვების შესაძლებლობა, მომავალში მეორადი სპეციალობის არჩევის შესაძლებლობა, კურსის ლექტორებს შორის არჩევანის შესაძლებლობა, არჩევითი კურსებზე დარეგისტრირების შესაძლებლობა და სხვა.

- **აკადემიური კონსულტირება** - აკადემიურ კონსულტირებაში იგულისხმება ის პროცედურები, რომლითაც არის უზრუნველყოფილი აღნიშნული კონსულტირების შესაძლებლობის დაცვა (პროფესორთა საკონსულტაციო საათები, კონსულტაციები საუნივერსიტეტო ადმინისტრაციის მხრიდან, სასწავლო ასისტენტებთან მუშაობა და ა.შ.).
- **კარიერული კონსულტირება** - კარიერულ კონსულტირებაში იგულისხმება ის პროცედურები, რომლითაც არის უზრუნველყოფილი აღნიშნული კონსულტირების შესაძლებლობის დაცვა (კარიერული ცენტრები, პრაქტიკული უნარ-ჩვევევების, თვითპრეზენტაციის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები/ტრენინგები და პრაქტიკები, სტაჟირებები, დამსაქმებლებთან ურთიერთობა სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით).
  - კონსულტაციები რეზიუმეს (CV) შედგენაში, სამოტივაციო წერილის შედგენის ტრენინგები, ინტერვიუსათვის მომზადების ტრენინგები
  - შრომის ბაზარზე ვაკანსიების მუდმივი მონიტორინგი და ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;
  - პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვა ურთიერთთანამშრომლობის მიზნით;
  - დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა და ორგანიზება;
  - დამსაქმებლებთან ერთად სხვადასხვა წამახალისებელ თუ საინფორმაციო ღონისძიებების, შეხვედრების მოწყობა, სტუდენტთა და დამსაქმებელთა დაახლოებისა და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობის მიზნით;
  - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვა) დასაქმების ხელშეწყობა.
  - სტაჟირების, ნახევარგანაკვეთიანი და სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოძიებაში დახმარება
  - საუნივერსიტეტო კლინიკებში დასაქმების ხელშეწყობა

- **აქტიური სწავლების სისტემა** - აქტიური სწავლების სისტემაში იგულისხმება სტუდენტის ჩართულობაზე ორიენტირებული ფორმებითა და მეთოდებით წარმართული სწავლების პროცესი, რომელიც რადიკალურად განსხვავდება სწავლების პასიური, პედაგოგზე ორიენტირებული სისტემისგან და გულისხმობს სწავლების ისეთი მეთოდების გამოყენებას როგორიცაა პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, ქეისებზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ.
- **უკუკავშირის მექანიზმების არსებობა და აქტიური გამოყენება** - მასში იგულისხმება როგორც ცალკეული სასწავლო პროგრამების, ისე ცალკეული სასწავლო კურსების შეფასება სტუდენტების მიერ, ასევე კურსდამთავრებულების მიერ პროგრამების შეფასება, რომლის შედეგებიც აქტიურად გამოიყენება ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირის მექანიზმებზე საუბრისას, მნიშნელოვანია ასევე თავად სტუდენტებისათვის უკუკავშირის უზრუნველყოფაც (კურსის ფარგლებში შეფასებული ნაშრომების კომენტირება, აპელაციის სისტემის არსებობა და ა.შ).
- **პროპორცია პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის** - მასში იგულისხმება, თუ რამდენად მაღალია პროპორცია ლექტორებსა და სტუდენტებს შორის და სტუდენტთა რა რაოდენობაზეა გათვლილი ლექცია/სემინარი/პრაქტიკული, რამდენად აქტიურად გამოიყენება პატარა ჯგუფებთან მუშაობის მეთოდები, საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
- **სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი სისტემის გამოყენება** - მასში იგულისხმება, ის, თუ რამდენად უწყობს ხელს სწავლების პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდოლოგია ყველა სტუდენტს, მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და, შესაბამისად, მოხდეს სწავლის შედეგების ობიექტური შეფასება. ასევე, რამდენად მრავალფეროვანია სწავლების მეთოდები იმისათვის, რათა მოხდეს ყველა განსხვავებული ტიპის სტუდენტის შეფასება. იგულისხმება, რომ რაც უფრო მრავალფეროვანია შეფასების სისტემა, მით მეტადაა უზრუნველყოფილი განსხვავებული სტუდენტების ობიექტური შეფასების შესაძლებლობა.

- **საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის სივრცის ხელმისაწვდომობა** - საუნივერსიტეტო ბიბლოთეკის სივრცის ხელმისაწვდომობაში იგულისხმება ის, თუ რა პერიოდულობითა და საათობრივი დატვირთვით ემსახურება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა სტუდენტებს და რამდენად სთავაზობს არასამუშაო დღეებში და საათებში სერვისის შეთავაზების შესაძლებლობას, რამდენად არის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი უზრუნველყოფილი სასწავლო კურსის სილბუსებში მითითებული ლიტერატურით, უზრუნველყოფილია თუ არა ბიბლიოთეკა შესაბამისი ინვენტარით.
- **ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო** - ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოში იგულისხმება ის, თუ რამდენად ინკლუზიურია თავად საუნივერსიტეტო სივრცე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის. ასევე უნივერსიტეტის სტარტეგია და ხედვა ინკულუზიური გარემოს გაუმჯოესებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების შესახებ.
- **ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და სტუდენტთა ინტერესების დაცვა** - ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკაში იგულისხმება, ის, თუ რამდენად დაცულია სხვადასხვა უმცირესობების (რელიგიური, ეთნიკური და ა.შ.) ინტერესები უნივერსიტეტში და ხორციელდება თუ არა ინტეგრაციაზე ორიენტირებული კონკრეტული აქტივობები.
- **სტუდენტთა წარმომადგენლობა** - სტუდენტთა წარმომადგენლობაში, პირველ რიგში, იგულიხმება სტუდენტური თვითმმართველობების არსებობა. ასევე ის, თუ რამდენად აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები საუნივერსიტეტო გადაწყვეტილებების მიღებაში (საბჭოები, კომისიები, სამუშაო ჯგუფები და ა.შ.) და რამდენად აქვთ სტუდენტებს საკუთარი პოზიციების დაფიქსირებისა და რეკომენდაციების შემოთავაზების შესაძლებლობა.
- **სტუდენტთა ჩართულობა საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ საქმიანობაში** - მასში იგულისხმება ის მექანიზმები, რომელიც შეთავაზებულია სტუდენტების საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩასართავად ;
- **სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის პოლიტიკა** - მასში იგულისხმება უნივერსიტეტის მიერ სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისათვის მატერიალურ და არამატერიალურ მხარდაჭრას, როემლიც შესაძლოა გამოიხატოს

მათთვის გრანტის, სტიპენდიის და ა.შ. დანიშვნით, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევითი და პროფესიულ პროექტების პროექტებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობას.

მოსალოდნელი შედეგები:

- ✓ უზრუნველყოფილია სტუდენტზე ორიეტირებული სწავლების სისტემის დანერგვა და რეალიზება;
- ✓ პროტენციური სტუდენტების მოთხოვნა უნივერსიტეტში ჩაბარებისა და სწავლისადმი მზარდი და დინამიურია. უნივერსიტატი კონკურენტუნიარიანია განათლების ბაზარზე, როგორც ქვეყნის და რეგიონის მაშტაბით, ასევე საერთაშორისო დონეზე.
- ✓ სტუდენტთა მომსახურების სერვისების გამრავალფეროვნება და პროცესებში სტუდენტების ჩართულობის ზრდა - სტუდენტზე, მის ეფექტურ მომსახურებაზე დაფუძნებული მართვა უზრუნველყოფს მთავარი დევიზის რეალიზებას - **რაც შეიძლება ახლოს ჩვენს სტუდენტებთან, რათა ვიცოდეთ მათი საჭიროებები.** ამ საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისები და მომსახურების მექანიზმები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდნეტების კმაყოფილებას, რომელიც უნივერსიტეტის წინსვლისა და განვითარებისათვის ფუნდამენტური მნიშნველობისაა.

სტრატეგიული მიზანი N3

უნივერსიტეტში ეფექტიანი მართვის სისტემის დანერგვა და განვითარება

სტრატეგიული ამოცანები:

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის დამკვიდრება;
- ✓ ხარსიხის უზრუნველყოფაში PDCA მიდგომის დანერგვა და განვითარება;
- ✓ ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა და განვითარება;
- ✓ ეფექტური ფინანსური მენეჯმენტის დანერგვა და განვითარება;
- ✓ უნივერსიტეტის მართვაში ელექტრონული სისტემების დანერგვა და განვითარება
- ✓ პერსონალის მოზიდვის, ადაპტაციის, განვითარების და შენარჩუნების მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა;
- ✓ მაღალი პოტენციალის მქონე ადმინისტრაციული და სასწავლო პერსონალის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი) მოზიდვა;
- ✓ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- ✓ კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა

მიღწევის საშუალებები:

- ✓ ხარისხის შეფასების მკაფიო მექნიზმების შექმნა და დანერგვა;

- ✓ აკადემიური კეთილსიდისიერების დამკვიდრების პოლიტიკის შემუშავება;
- ✓ პროგრამების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმების განვითარება და ინდიკატორების განსაზღვრა/დახვეწა;
- ✓ პროგრამის ხარისხის შეფასების მონაცემების თავმოყრისა და ანალიზის ცენტრალიზებული სისტემის შექმნა;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმების დახვეწა;
- ✓ სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემის დახვეწა და განვითარება;
- ✓ აკადემიური პერსონალის მუშაობის ხარისხის განმსაზღვრელი ინდიკატორების დანერგვა;
  მიმდინარე აკადემიური პერსონალის რე-ატესტირება გეგმიური კონკურსის საშუალებით;
- ✓ პერსონალის მოვალეობების აღმწერის, სამუშაო აღწერილობის სრულყოფა
- ✓ ტრენინგებში, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა
- ✓ ადმინისტრაციული პერსონალისათვის ტრენინგების ჩატარება ეფექტური მომსახურებაში
- ✓ ადმინისტრაციული პერსონალის „ჩრდილის პრაქტიკის“ განხორციელება - იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე უნივერსიტეტს ჯერ არ ყავს სტუდენტები და ამდენად სასწავლო პროცესის მართვა პრაქტიკულად ჯერ არ ხორციელდება, ადმინისტრაციული პერსონალისათვის უნივერსიტეტი გეგმავს ე.წ. „ჩრდილის პრაქტიკის“ გამხორციელებას. იგულისხმება, რომ ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები (სკოლის დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი და სხ.) პარტნიორ უნივერსიტეტებში შესაბამისის პერსონალის „ჩრდილის“ სახით მონაწილეობას მიიღებენ პარტნიორი უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში და უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში;
- ✓ პერსონალის პროფესიული და პიროვნული განვითარება - უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი იქნება პერსონალის სამუშაო დატვირთვის შესაბამისობა შრომის ადეკვატურ ანაზღაურებასთან, პერსონალის შრომითი მიღწევების ხელშეწყობა, აღიარება და დაფასება

- ✓ პერსონალის უსაფრთხო და საკუთარი შესაძლებლობების ეფექტურად რეალიზებისათვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა
- ✓ პერსონალის ჩართვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში
- ✓ უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პოტენციალის რეალიზება საზოგადოების განვითარების პროცესში

მოსალოდნელი შედეგები

- ✓ დანერგილია აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები და აკადემიური პერსონალის შემადგენლობის განვითარება/განახლება ხდება ამ კრიტერიუმების შესაბამისად;
- ✓ უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი ეფექტიანია და ქმედითი
- ✓ მართვისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების/ატივობებების შესრულება
- ✓ უნივერსიტეტის მართვა უფრო ეფექტური და გამჭირვალეა
- ✓ უზრუნველყოფილია დროის, შესაბამისი მატარიალური მასალებისა და ადამიანური რესურსის ეფექტურად ხარჯვა.
- ✓ მოტივირებული და კვალიფიცირებული თანამშრომლები;
- ✓ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების ზრდა;
- ✓ უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა

სტრატეგიული მიზანი N4

ინტერნაციონალიზაციის განვითარება

სტრატეგიული ამოცანები:

- ✓ კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია;
- ✓ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის რეკრუტერთა ქსელის შექმნა და ზრუნვა გაფართოებისათვის;
- ✓ ორმხრივი ურთიერთბების განვითარება საერთაშორისო (პარტნიორი) უნივერსიტეტებთან;
- ✓ საერთაშორისო სტუდენტთა ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ✓ კვლევების ხელშეწყობა და განვითარება;
- ✓ კვლევების შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია

მიღწევის საშუალებები:

- ✓ სამუშაო ჯგუფის ფორმირება უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმების შემუშავებასა და რეალიზებისათვის;
- ✓ თანამშრომლობის გააქტიურება საერთაშორისო სააგენტოებთან უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით.
- ✓ სტუდენტების გაცვლითი პროგრამებსა და მათი განმავითარებელი აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა;

- ✓ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებში საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციალისტების ჩართვა;
- ✓ საგანმანათლებლო პროცესისა და კვლევითი მუშაობის ინტერნაციონალიზაციის, საერთაშორისო პარტნიორების მოძიების და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- ✓ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქსელებსა და კავშირებში უნივერსიტეტის გაწევრიანება;
- ✓ კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის წახალისების და საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების სისტემის განვითარება
- ✓ კვლევითი ცენტრების და პროექტების განვითარება

მოსალოდნელი შედეგები

- ✓ აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობა ეროვნულ / რეგიონალურ ან / და საერთაშორისო კვლევით პროექტებში
- ✓ აკადემიური პუბლიკაციების რაოდენობის და ხარისხის გაზრდა
- ✓ ადგილობრივი / რეგიონალური / საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების რაოდენობის ზრდა აკადემიური პერსონალის მონაწილეობით / ორგანიზებით
- ✓ სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივი თანამშრომლობის მიზნით, შესაბამისი აქტივობებია განხორციელებული
- ✓ დანერგილია და ეფექტიანად გამოიყენება ანტიპლაგიატის სისტემა;
- ✓ უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემები საერთაშორისოდ რეფერირებადია;
- ✓ უნივერსიტეტში დანერგილია საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების სისტემა.

სტრატეგიული მიზანი N5

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

სტრატეგიული ამოცანები:

- ✓ პროგრამების დანერგვა და განვითარება;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება
- ✓ პროგრამების ინტერნაციონალიზაცია;
- ✓ უცხოურ მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელება
- ✓ სტუდენტური / პერსონალის / საერთაშორისო მობილობა-გაცვლითი პროგრამების გაძლიერება
- ✓ საერთაშორისო აკრედიტაცია
- ✓ კვლევების შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია

მიღწევის საშუალებები:

- ✓ პროგრამების ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმების განვითარება და ინდიკატორების განსაზღვრა/დახვეწა;
- ✓ პროგრამის ხარისხის შეფასების მონაცემების თავმოყრისა და ანალიზის ცენტრალიზებული სისტემის შექმნა;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმების დახვეწა;

- ✓ პროფესიული პრაქტიკის შესაძლებლობების განვითარება;
- ✓ პრაქტიკის კომპონენტის გაზრდა და მისი შესაფასებელი კომპონენტების დახვეწა, შეფასების კრიტერიუმების ფორმულირება და სრულყოფა;
- ✓ სწავლა-სწავლების მეთოდების მუდმივი განახლება;
- ✓ ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების დაფინანსებისა და თანადაფინანსების სისტემების განვითარება;
- ✓ პოტენციურ დამსაქმებლებთან ახალი ურთიერთობების დამყარება და არსებულის შენარჩუნება/განვითარება;
- ✓ სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა, ორგანიზაციული კულტურის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ ახალი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა და განვითარება;
- ✓ სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართვას, ინოვაციური აზროვნების წახალისებას, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას და შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვას;
- ✓ სტუდენტთა პროფესიული და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების სისტემების ამოქმედება როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ისე პროგრამის ფარგლებს გარეთ, როგორიცაა მათი ჩართულობის უზრუნველყოფა სემინარებში, კონფერენციებში, პროფესიონალთა მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, სასწავლო ვიზიტების განხორციელებაში, პროექტების განხორციელებაში და სხვა.
- ✓ კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ჩართვა დაწესებულების ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებში, ორიენტაცია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საჭიროებებზე;
- ✓ ტრენინგებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისათვის, ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით;

- ✓ ახალი პროგრამებისა და სტრატეგიების განვითარება პოტენციურ სტუდენტთა წრის გაფართოების მიზნით, როგორიცაა ინდივიდუალური პროგრამები მობილური სტუდენტებისათვის, ადაპტირებული პროგრამები და სასწავლო გარემოს შექმნა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის;
- ✓ სტუდენტთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობა - შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა ინტელექტუალური, სოციალური და ეკონომიკური კაპიტალის განვითარების მიზნით;
- ✓ ტრენინგ პროგრამების შემუშავება და პოპულარიზება;
- ✓ საუნივერსიტეტო საგრანტო და წამახალისებელი სტუდენტის ინტერესებზე ორიენტირებული სისტემის დანერგვა

მოსალოდნელი შედეგები

- ✓ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები კონკურენტულია როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე;
- ✓ პროგრამების განახლების უწყვეტი პროცესის შედეგად უზრუნველყოფილია პროგრამების აქტუალურობა და უპირატესობები;
- ✓ პროგრამების კურსდამთავრებულთა კომპეტენცია შეესაბამება შრომის ბაზრის გამოწვევებს;
- ✓ თითოეული საგანმანათლებლო მიმართულების ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების რაოდენობა იხვეწება და ფართოვდება;
- ✓ გაფორმებულია და ეფექტიანად განხორციელდება თანამშრომლობის მემორანდუმები სასწავლო და კვლევითი პროექტებისთვის;
- ✓ უნივერსიტეტი ავტორიზებულია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის;
- ✓ თითოეული მიმართულების ფარგლებში დანერგილია პროფესიული მომზადების ტრენინგების მოდულები;

სტრატეგიული მიზანი N6

ინფრასტრუტურის განვითარება

სტრატეგიული ამოცანები:

- ✓ არსებული სასწავლო ბაზის განვითარება
- ✓ საბიბლიოთეკო სივრცეების და სერვისების განვითარება
- ✓ საუნივერსიტეტო კლინიკების განვითარება
- ✓ ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა და განვითარება

მიღწევის საშუალებები

- ✓ არსებულის შენობა/ნაგებობების განვითარება და ახალი კამპუსის მშენებლობა, მისი ინფრასტრუქტურული აღჭურვა;
- ✓ პროფესიული პროგრამების ბაზის განვითარების პროექტის შემუშავება;
- ✓ საუნივერსიტეტო ლაბორატორიების ინფრასტრუქტურული დაპროექტება;
- ✓ საბიბლიოთეკო რესურსების, ელექტრონული სამეცნიერო მონაცემთა ბაზებისა და ინდივიდულური სწავლებისათვის საჭირო სხვა ლიტერატურის განვითარება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.
- ✓ საუნივერსიტეტო ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვა;

- ✓ საუნივერსიტეტო კლინიკების ინფრასტრუქტურული განვითარება.
- ✓ ბიბლიოთეკისა და ლაბორატორიების უწყვეტი მომსახურების უზრუნველყოფა
- ✓ მონაცემთა ბაზის გამოყენებით კონტიგენტის დაგეგმვა მატერიალური ბაზის შესაბამისად
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
- ✓ კამპუსის უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესება

მოსალოდნელი შედეგები

- ✓ არსებული სასწავლო ბაზა ოპტიმალურად გამოყენებულია
- ✓ ახალი სასწავლო კორპუსის ამოქმედება, ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- ✓ პროფესიული პროგრამების ბაზის უზრუნველყოფა;
- ✓ საუნივერსიტეტო კლინიკის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის განვითარება